

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.05.2022

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში 2022 წლის აპრილი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 3.1 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 2.3 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 21.5 პროცენტით. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 24.5 პროცენტით, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 18.2 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები შემცირდა 6.3 პროცენტით, ასევე ფასების კლება დაფიქსირდა ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე 36.3 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის აპრილში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	121.5	21.46
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია	93.7	-0.34
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	124.5	21.52
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	312.3	15.26
24	ძირითადი ლითონები	146.3	10.04
D	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	63.7	-0.14
E	წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	118.2	0.42

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

20.05.2022

ექსპორტის ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge